ხელშეკრულება №196

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. წყალტუბო 12 აგვისტო 2015 წელი

ერთის მხრივ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტი (შემდგომში ,,შემსყიდველი'') წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგეობის კონსტანტინე მამისეიშვილის სახით და მეორე მხრივ ფიზიკური პირი გიორგი ბოლქვაძე (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი გიორგი ბოლქვაძის სახით, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ს[1]" ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული "გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის "ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის ფორმით დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურეობის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ახალგაზრდობის დღისადმი მიძღვნილი ზაფხულის ფესტივალისათვის მუსიკალური ბენდის მოწვევა (გასართობი მომსახურების შესყიდვა);

2.2 კლასიფიკატორის კოდი: (CPV 92312120);

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 625 (ექვსასოცდახუთი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. მიღება-ჩაბარება, ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მოსახურება ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ გაწეული მომსახურეობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ. მიღება-ჩაბარების აქტზე "შემსყიდველის" მხრიდან ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურს.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

5. მომსახურების მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. მოსახურების მიწოდება განხორციელდება შემდეგ მისამართზე: წყალტუბოს მუნიციპალიტეტი;

5.2. მომსახურების მიწოდება განხორციელდება 2015 წლის 12 აგვისტოს, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

6. მხარეთა უფლება–მოვალეობები

6.1. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
6.3. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს მოსახურება სათანადო ხარისხით.
6.4 ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელი გადაიხდის პირგასამტეხლოს ხელშეკრულების ღირებულების 5%–ის ოდენობით.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

7.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
7.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
7.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
7.4 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 7.3 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ
7.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

8. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერიდან და მოქმედებს 2015 წლის 20 ოქრომბრის ჩათვლით.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი
მის: წყალტუბო, რუსთაველის ქ.№25
„ლიბერთი ბანკის" წყალტუბოს ფილიალი
ბ/კოდი: L BRTGE22
ა/ა №GE25LB0120123490525000
ს/კოდი: 221274546

მუნიციპალიტეტის გამგებელი

კონსტანტინე მამისეიშვილი

მიმწოდებელი:

ფიზიკური პირი გიორგი ბოლქვაძე
მის: ქ. ქუთაისი კუპრაძის ქ. მე-3 შესახ. #5
ს/ს „საქართველოს ბანკი"
ბ/კოდი: BAGAGE22
ა/ა GE59BG0000000807448700
ს/კოდი: 60001126189

ფიზიკური პირი

გიორგი ბოლქვაძე